საქართველო

5810-01-2-201802151112

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/5810
15/02/2018

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის უფროსს
ქალბატონ **სოფიკო ბელქანიას**

ქალბატონო სოფიკო,

გაცნობებთ, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის გადაწყვეტილებით, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი წელიწადში ორჯერ აქვეყნებს კონსოლიდირებულ ანგარიშს „კონფლიქტი საქართველოში“, რომელიც ეხება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა და უსაფრთხოების კუთხით არსებულ მდგომარეობას.

აქვე გაცნობებთ, რომ გენერალური მდივნის მე-17 კონსოლიდირებული ანგარიშის გამოქვეყნება, რომელიც მოიცავს 2017 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის მარტის ჩათვლით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განვითარებულ მოვლენებს, დაგეგმილია მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს.

ევროპის საბჭოს დელეგაციის მიერ აღნიშნული ანგარიშის მომზადების მიზნით, გთხოვთ, არაუგვიანეს 19 თებერვლისა მოგვაწოდოთ ინფორმაცია ინგლისურ ენაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ოკუპირებული ტერიტორიებთან მიმართებით განხორციელებული აქტივობების შესახებ.

პატივისცემით,
თეა მაისურაძე

დეპარტამენტის დირექტორი
საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი